20/08/2015

# პროექტის განაცხადი

პროექტის სათაური (მაქსიმუმ 15 სიტყვა)

„საგანმანათლებლო ცენტრი„

პროექტის მოკლე აღწერა (მაქსიმუმ 50 სიტყვა)

პროექტის განხორციელების ადგილი მარნეულის რაიონი , სოფელი წერაქვი
პროექტის დაწყების თარიღი 2015 წლის 5 აგვისტო
პროექტის საერთო ღირებულება - 39024 ლარი
ფონდიდან მოთხოვნილი თანხა - 16229 ლარი
თემის წვლილი - 2 ხელნაკეთი კომპიუტერის მაგიდა, სკამები.
მარნეულის მუნიციპალიტეტის წვლილი - უსასყიდლოდ გადმოგვცა მოხმარებაში სოფელ წერაქვსში მდებარე ( კლუბის შენობაში) 34 კვ. ოთახი ,114კვ.დარბაზი რომლის სარემონტო სამუშაობები სრულიად დააფინასა მარნეულის მუნიციპალიტეტმა და შეადგინა 16596 ლარი, გვაჩუქა ორი კომპიუტერი (2400 ლარი).
არასამთავრობო ორგანიზაცია - „ კრიალოსანი- სწავლა სინათლის წყარო" -ს წვლილი - სასწავლო პროცესისთვის საჭირო წიგნები, CD დისკები,სახელმძღვანელოები, საჭირო მხატვრული ლიტერატურა, მაგთი ფიქსის მოდემი.
ავეჯი: ტახტი, წიგნების კარადა (1945 ლარი).

პროექტის ტიპი — ☐ რეგიონალური — ✓ ☐ ადგილობრივი

დასახელება — სოფელი წერაქვი

პროექტი მდებარეობა

ქუჩა და ნომერი — არ ფიქსირდება

ადგილმდებარეობის სხვა ინფორმაცია — სოფელ წერაქვში მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის მუზეუმის ადგილომდებარეობის გარდა, აქვე იგეგმება თანამედროვე მწერლის ნოდარ წულეისკირის სახლ-მუზეუმის გახსნა.

**პროექტის კლასიფიკაცია**

✓ ☐ განათლება
☐ კომუნიკაცია/გზები
✓ ☐ კულტურა
☐ გარემოს დაცვა
☐ სოციალური დახმარება
✓ ☐ საზოგადოებრივი სივრცე
☐ სპორტი
☐ ჯანდაცვა
☐ გამწვანება
☐ სხვა (მიუთითეთ)

**პროექტის პოტენციალური მომხმარებელი** ( აირჩიეთ 3 )

✓ ☐ ბავშვები
✓ ☐ ახალგაზრდობა
✓ ☐ საშუალო ასაკის
☐ ასაკოვანი
☐ სტუდენტები
☐ უნარშეზღუდული
☐ ბავშვიანი ოჯახები
☐ შინაური ცხოველები
☐ სხვა (მიუთითეთ)

პროექტის შედეგებით სარგებლობის წესები

(ხელმისაწვდომობა) (მაქსიმუმ 100 სიტყვა)

მოსწავლე -ახალგაზრდები აღნიშნული პროექტის ფარგლებში და შეძენილი თანამედროვე ტექნიკის გამოყენებით შეძლებენ დაბეჭდონ ორი თემატური ბუკლეტი. ბავშვები შეძლებენ დადგან ორი ინგლისურ ენოვანი სპექტაკლი, ჩაატარონ ორი ლიტერატურული საღამო, ადაპტირდნენ საზოგადოებასთან, ვინაიდან მოწვეულ სტუმრებში, რომლებიც სწავლების პროცესში ჩამოვლენ წერაქვში იქნებიან ცნობადი სახეები მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. მათგან გვაქვს მხარდაჭერა და დახმარების იმედი.

☐ საჭიროების შემთხვევაში: გაგრძ. დანართში.........

პროექტის სრული აღწერა (მაქსიმუმ 300 სიტყვა)
აღწერილობაში არ მიუთითოთ კონტრაქტორები

<u>მიზანი და ამოცანები</u>

პროექტის მიზანია სოფლის ახალგაზრდობა განათლდეს, მათგან შეიქმნას ცოცხალი ინიციატივის მქონე ბირთვი, რომელიც შეძლებს სიცოცხლისუნარიანიც იყოს და გაფართოვების პერსპექტივის მქონეც.

წერაქვის ბავშვებს მიეცეთ სათანადო განათლება, ინგლისური, კომპიუტერი, ლიტერატურა, შეისწავლონ და შეძლონ მიღებული ცოდნის მალევე გამოყენება.

გვაქვს საშუალება სათანადო ცოდნის მიწოდების მერე, ტესტირების შედეგად მოსწავლეებზე გავცეთ სერთიფიკატები, როგორც ინგლისურ ენაში (B1, B2, C1 ) ასევე კომპიუტერის სწავლების ბოლოს (elementary, intermediate, advanced)

მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად გაირკვა რომ არაერთი ოჯახი დაუბრუნდება სოფელს პროექტის განხორციელების შემთხვევაში.

<u>პროექტის სიცოცხლისუნარიანობა</u>

განათლებასთან ერთად მთავარი ამოცანაა წერაქველ ბავშვებს მიღებული განათლების გამოყენების საშუალება მივცეთ.

6 თვის მანძილზე ახალგაზრდები უნდა მომზადნენ საიმისოდ რომ მათსავე ბაზაზე წამოვიწყოთ საგამომცემლო საქმიანობა. სამომავლოდ იგეგმება საგანმანათლებლო ცენტრმა ამ ბავშვების სრული ჩართულობით გამოსცეს ქართულ-ინგლისური გაზეთი.(უნდა აღიღნიშნოს რომ მოთხოვნისდა მიუხედავად მარნეულის რაიონში მრავალი წელია არანაირი გაზეთი არ გამოდის). პროექტით

გათვალიწინებულია ასევე წერაქვში დავპატიჟოთ თავის სფეროში წარმატებული ადამიანები და ამ სტუმრიანობას სისტემატიური ფორმა მივცეთ რათა ახალგაზრდებს გაუჩნდეთ გარკვეული წარმოდგენა სოფლის გარეთ არსებულ ცხოვრებაზე , რომ მათ უამრავი რამ ძალუძთ და მხოლოდ მათ არჩევანზეა დამოკიდებული თუ რას გააკეთებენ მომავალში და მთავარია რომ გაუჩნდეთ მომავლის იმედი.

ეს „ კრიალოსანი -სწავლა სინათლის წყარო“ -ს საგანმანათლებლო ცენტრის საქმიანობის მეორე ეტაპს წარმოადგენს, და ორგანიზაცია სტუმრების მოწვევასა და გასტუმრებას თავის თავზე იღებს.

თუ საგანმანათლებლო ცენტრი იფუნქციონირებს ამით მთელი სოფელი კმაყოფილი დარჩება და მომავალში გაჩნდება გარშემო სოფლის მოსახლეობის ჩართვის საშუალებაც და საგანმანათლებლო საქმიანობის გაფართოვება გარშემო მოსწავლების ჩართვის გზით, ახალგაზრდების გადამზადების შემდეგ, ამ გზით შევძლებთ მიგრაციის შეჩერებას.

☐ საჭიროების შემთხვევაში. გაგრძ. დანართში.....

პროექტის დასაბუთება (მაქს 100 სიტყვა)

<u>პრობლემის დასაბუთება</u>

სოფელ წერაქვში ცხოვრობს 100 კომლი ( დაახლოებით 200 ადამიანი ), მიგრაციის გამო წერაქვს დღითი დღე ტოვებს ადგილობრივი მოსახლეობა. წერაქვის მაცხოვრებელთა ძირითადი საქმიანობა მესაქონლეობა და მიწის დამუშავებაა. აქაური ბავშვები რომელთა ოჯახებსაც სოფლის დატოვების საშუალება არ გაჩნიათ იზრდებიან ყოველგვარი პერსპექტივის გარეშე.

სოფელში უამრავი პრობლემაა გადასაჭრელი, როგორიცაა, გაზიფიცირება, მოასფალტირება, წყალგაყვანილობა, სარწყავი არხების არ არსებობა, დღეს დღეობით სასმელი წყლის პრობლემის მოგვარებას ცდილობს მარნეულის

გამგეობა. მაგრამ ერთ-ერთი პრობლემაა აქაური მოსახლეობისთვის მათი შვილებისთვის პერსპექტივის მიცემა და წერაქველი ბავშვებისთვის ნორმალური მომავლისთვის საფუძვლის ჩაყრა.
დაგეგმილი გვაქვს ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობა სრულად მოვახმაროდ ამ პატარა დაჩაგრულ მხარეს, სადაც უნდა შევქმნათ ცოცხალი ბირთვი საგანმანათლებლო ცენტრის სახით. სკოლაში სწავლობს 24 მოსწავლე ასევე ცენტრში სწავლის სურვილი გამოთქვეს ახალგაზრდებმა რომელთაც უმაღლესი განათლება არ გაჩნიათ, წერაქველების გარდა სიონელებმაც გამოთქვეს ცენტრში სიარულის სურვილი. 50 ზე მეტმა ადამიანმა.
საგანმანათლებლო ცენტრის მიზანია, ასწავლოს ახალგაზრდებს ინგლისური, კომპიუტერი და გააცნოს როგორც ქართულ ასევე მსოფლიო ლიტერატურას და გააწიგნიეროს ისინი.
ამ საკითხთან დაკავშირებით შედგა სამმხრივი შეხვედრა ჩვენს, სოფელ წერაქვის მოსახლეებასა და მარნეულის გამგებელს შორის.
გამგებელმა და გამგეობის წარმომადგენლებმა სრული მხარდაჭერა აღვითქვეს და მოხმარებაში გადმოგვცეს სოფლის ცენტრში არსებული ახალგარემონტებული კლუბის ორი ოთახი და ორი კომპიუტერი.

☐ საჭიროების შემთხვევაში. გაგრძ. დანართში....

პროექტის ღირებულების წინასწარი შეფასება მისი კომპონენტების მითითებით

1. სოციალურად მოქნილი ბიუჯეტი

## ბიუჯეტი

| N | სამუშაო/მომსახურების დასახელება | საცალო ღირებულება | რაოდენობა | ფონდიდან მოთხოვნილი თანხა | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | აღჭურვილობა | | | | |
| 1.1 | ნოუთბუქი (სახელწოდება, მონაცემები) | 699 ლარი | 1 | 699ლარი | 699 ლ. |
| 1.2 | კომპიუტერი (სახელწოდება, მონაცემები) | 530 ლარი | 2 | 1060 ლარი | 1060ლ. |
| 1.3 | პრინტერი | 480 ლარი | 1 | 480 ლარი | 480 ლ |
| 1.4 | უწყვეტი კვების ბლოკი | 75 ლარი | 2 | 150 ლარი | 150 ლ |
| 1.5 | [illegible] | 0 | 0 | 0 | 0 |
| 1.6 | კომპ. მონიტორი (სახელწოდება მონაცემები) | 300 ლარი | 2 | 600 ლარი | 600 ლ. |
| 1.7 | კომპ. მაუსი | 22 ლარი | 2 | 44 ლარი | 44 ლ |
| 1.8 | კომპ. კლავიატურა | 28 ლარი | 2 | 56 ლარი | 56 ლ |
| 1.9 | გამათბობელი | 150 ლარი | 1 | 150ლარი | 150ლ. |
| 1.10 | მაგიდა | 0 | 0 | 0 | 0 |
| 1.11 | სკამები | 0 | 0 | 0 | 0 |
| 1.12 | კარადა | 0 | 0 | 0 | 0 |
| 1.13 | საქაღალდე | 60 ლარი | 2 | 120 ლარი | 120 ლ. |
| 1.14 | CD 2 კოლოფი | 17 ლარი | 2 | 34 ლარი | 34 ლ |
| 1.15 | საბეჭდი ფურცელი | 1.40 ლარი | 70 | 98 ლარი | 98 ლ. |
| 1.16 | კალამი 3 კოლოფი | 0.07 ლარი | 150 | 12ლარი | 12 ლ. |
| | სულ | | | 3503 ლარი | 3503ლ. |
| 2. | მომსახურება | | | | |
| 2.1 | [illegible] | 400 ლარი | 1 | 400 ლარი | 400 ლ. |
| | სულ | | | 400 ლარი | 400 ლ |
| 3. | ხელფასები/ანაზღაურება | | | | |
| 3.1 | პროექტის ადმინისტრატორი/კოორდინატორი | 300 ლარი | 6 თვე | 1800 ლარი | 1800ლ |
| 3.2 | [illegible] | 650 ლარი | 6 თვე | 3900 ლარი | 3900ლ |
| 3.3 | კომპიუტერის მასწავლებელი | 200 ლარი | 6 თვე | 1200 ლარი | 1800ლ. |
| 3.4 | ბუღალტერი | 300 ლარი | 6 თვე | 1800ლარი | 3000ლ. |
| 3.5 | დარაჯი | 200 ლარი | 6 თვე | 1200 ლარი | 1200ლ. |
| | სულ | | | 9900 ლარი | 9900ლ |
| 5. | საოპერაციო ხარჯები | | | | |
| 5.1 | ოფისის იჯარა | 0 | 0 | 0 | 0 |
| 5.2 | კომუნალური ხარჯი | 0 | 0 | 0 | 0 |
| 5.3 | საკომუნიკაციო ხარჯი ( ინტერნეტი ) | 150 ლარი | 6 თვე | 900 ლარი | 900 ლ |
| 5.4 | საკანცელარიო ხარჯები ( [illegible] ) | 16 ლარი | 6 თვე | 96 ლარი | 96 ლ. |
| 5.5 | პრინტერის კარტრიჯი | 145 | 6 თვე | 870 ლარი | 870 ლ |
| | სულ | | | 1866 ლარი | 1866 ლ |
| 6.1* | საბანკო მომსახურება | | | | 160.60ლ |
| | სულ | | | 16069ლარი | 16229 ლარი |

2 დასაქმება

3 კადრების კვალიფიცირება

პროექტის საერთოღირებულება **16229 ლარი**

☐ საჭიროების შემთხვევაში. გაგრძ. დანართში.....

### დანართი

☐ პროექტის მხარდამჭერთა არანაკლებ 30 ადგილობრივი მაცხოვრებლის ხელმოწერილი სია

☐ *დასტური 2)*

დამატებითი (თუ არსებობს ასეთი საჭიროება)

არასრულწლოვნის მეურვის თანხმობა:

☐ *აუცილებელი საბუთები* ✓ ☐ *არააუცილებელი საბუთები* ☐ *დასტური 2)*

[2] ივსება საჯარო თანამდებობის პირის მიერ

დამატებითი:

☐ 1.

☐ *დასტური 2)*

☐ 2.

☐ *დასტური 2)*

☐ 3.

☐ *დასტური 2)*

საქართველოს კანონის პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ (დათარიღებული 2011 წლის 28 დეკემბრის № 5669 ) თავი II მუხლი 5 შესაბამისად ვეთანხმები ჩემი პირადი მონაცემების დამუშავებას, ვაცხადებ, რომ ყველა ინფორმაცია, რომელსაც შეიცავს ფორმა არის სწორი ასევე ვადასტურებ, რომ მე ვაცნობიერებ ჩემი პირადი მონაცემების შემოწმებას.

პროექტის ავტორის ხელმოწერა/
არასრულწლოვნი დიზაინერის
კანონიერი მეურვის ხელმოწერა.

**დანამატი:**

თანხმობას ვაცხადებ ჩემი სახელის გასაჯაროებას მარნეულის მუნიციპალიტეტის ელექტრონულ სისტემაში, რომელიც შექმნილია მონაწილეობითი ბიუჯეტის განსახორციელებლად და მასში ატვირთული იქნება ჩემს მიერ მოწოდებული პროექტი:

პროექტის ავტორის ხელმოწერა/
არასრულწლოვნი დიზაინერის
კანონიერი მეურვის ხელმოწერა.